KNAUF - ტიფენგრუნდი

ღრმა შეღწევადობის გამამყარებელი დასაგრუნტი მასალა

გამოყენების სფერო

Knauf – ტიფენგრუნდი – მზა დასაგრუნტი მასალა, სწრაფი გაშრობის, ორთქლგამტარი, პოლიმერული დისპერსიის ბაზაზე. განკუთვნილია საფუძვლის დასამუშავებლად ზედაპირის გამაგრების, მისი შეწოვისუნარიანობის შემცირებისა და ადჰეზიის გაუმჯობესების მიზნით საბოლოო საფარის (ფითხი, საღებავი, შპალერი), კერამიკული ფილების და სხვ. დაგების წინ. მისი მაღალი შეღწევადობის გამო კარგად გამოიყენება წვრილფორიანი მასალების დასაგრუნტად.
Knauf – ტიფენგრუნდი შემდეგი ზედაპირების დასამუშავებლად გამოიყენება:

- თაბაშირმუყაოს და თაბაშირბოჭკოვანი ფილები
- თაბაშირის და ცემენტის ბათქაშები
- თაბაშირის ღარქიმიანი ფილები
- თაბაშირმუყაოს და თაბაშირბოჭკოვანი ფილების ნაკერები, თაბაშირის ფითხით დამუშავებამდე
- თაბაშირის და ცემენტის მოჭიმვა

შიდა და გარე სამუშაოებისთვის

სამუშაოს მიმდინარეობა

საფუძველი უნდა იყოს სუფთა, მტვრისა და აშრევებული ნაწილაკებისგან თავისუფალი. ჰაერისა და დასამუშავებელი ზედაპირის ტემპერატურა გრუნტის სრულ გაშრობამდე +5°C -დან +30°C -ის ფარგლებში უნდა ექცეოდეს. კნაუფის დასაგრუნტი მასალა ტიფენგრუნდი მოხმარებისთვის მზად არის. უშუალოდ სამუშაოების ჩატარების წინ რეკომენდირებულია შემადგენლობის მორევა, შემდეგ ის თანაბრად, წყალში გაუხსნელად უნდა იქნას დატანილი დასამუშავებელ ზედაპირზე საღებავი ლილვაკის, ჯაგრისის ან ფუნჯის მეშვეობით. მაღალი შეწოვადობის ზედაპირები საჭიროების შემთხვევაში ორჯერ უნდა დაიგრუნტოს. გრუნტით დამუშავებულ ზედაპირებზე შემდგომი სამუშაოები მხოლოდ მათი გაშრობის შემდეგ არის დასაშვები (მინიმუმ 3 საათი). გრუნტის შრობის დასრულებიდან შემდგომ სამუშაოებამდე რაც შეიძლება მცირე უნდა იყოს შუალედი, რათა თავიდან ავიცილოთ ზედაპირზე სამშენებლო მტვრის დადება. კნაუფ-ტიფენგრუნდის დატანის შემდეგ გამოყენებული ხელსაწყოები და ჭურჭელი მაშინვე უნდა გაირეცხოს წყლით. კნაუფ-ტიფენგრუნდის გამშრალი შემადგენლობის მოცილება მხოლოდ მექანიკური გზით არის შესაძლებელი. დაუშვებელია დასაგრუნტ მასალაში სხვა მასალების ჩამატება - ეს მისი თვისებების მნიშვნელოვან გაუარესებას გამოიწვევს.

შეფუთვა და შენახვის წესი:

დასაგრუნტი მასალა Knauf ტიფენ-გრუნდი 10 და 5 კგ-იან სათლებშია დაფასოებული. შეფუთვა მოარიდეთ მზის უშუალო დასხივებას. შეინახეთ მშრალ გრილ სათავსოებში დადებით ტემპერატურაზე (+5° -დან +30°C-მდე) გამათბობელი მოწყობილობებისგან მოშორებით. არ დაუშვათ გაყინვა. შენახვის ვადა გაუხსნელ და დაუზიანებელ შეფუთვაში - 12 თვე.

დანახარჯი

ერთი ფენის დატანის შემთხვევაში

მასალა	საზომი ერთეული	რაოდენობა
Knauf ტიფენგრუნდი	კგ/მ²	0,1

ტელ.: +995 32 224 25 02 +995 32 224 25 03

ფაქსი: +995 32 224 25 04

www.knauf.ge

info@knauf.ge

შპს კნაუფ გიპს თბილისი
საქართველო, თბილისი
0160, გამრეკელის ქ. 19